

მინერალთა ოპტიკური ეფექტები

გიორგი მიჭელაშვილი

giorgi.mitchelashvili641@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

მინერალებში სინათლის ტალღის გავრცელება, გარდატეხა და არეკვლა, ხშირად იწვევს სხვადასხვა ეფექტებს. მოხსენებაში განხილულია ოპტიკური ეფექტები: ფერი, ორმაგი გარდატეხა, ირიზაცია, ოპალესცენცია, პლეოქროიზმი, ასტერიზმი, მათი სახეები და გამომწვევი ფაქტორები.

ნებისმიერი ოპტიკური ეფექტი არის კრისტალის „რეაქცია“ სინათლის ხილულ ნაწილზე. სხვადასხვა მინერალი განსხვავებულად რეაგირებს სინათლის გამოსხივებაზე, რაც დამოკიდებულია შინაგან აღნაგობასა და ჩანართების არსებობაზე. ოპტიკური ეფექტები ხშირად ასოცირდება კრისტალურ დეფექტებთან. ოპტიკური ეფექტები დახასიათებულია მინერალების მაგალითზე.